



კითხვის დრო

საბავშვო გაზეთი, V-VI კლასი, N7

უკველესი დაფის თამაში

ალბათ, დამეთანხმები, არქეოლოგობა ნამდვილად საინტერესო პროფესიაა.


ჩინეთის ქალაქ ქინჯუსთან არქეოლოგებმა ძვ. წ. აღ. III საუკუნის დროინდელი არტეფაქტები იპოვეს – უცნაური დაფის თამაშის ნაწილები. იქვე მიაგნეს 14-ნახნაგიან კამათელსა და 21 მართკუთხა ქვას, რომლებზეც რიცხვებია დახატული. ასევე იპოვეს გატეხილი ფირფიტა, რომელიც ერთ დროს სათამაშო დაფის ნაწილს შეადგენდა. როცა დაფა აღადგინეს, ნახეს, რომ მასზე ამოკვეთილი იყო დეკორაცია, გარშემორტყმული ღრუბლებისა და ჭექა-ქუხილის გამოსახულებებით.




აღდგენილი დაფა

კამათლის 12 ნახნაგი 1-დან 6-მდე ციფრებითაა დანომრილი ძველი ჩინური დამწერლობის გამოყენებით. ყოველი რიცხვი ორ-ორჯერ ჩნდება კამათელზე. ამასთან, ორი ნახნაგი ცარიელადარისდა ტოვებული.

არქეოლოგების თქმით, როგორც ჩანს, ეს ძველი თამაშის – „ბო“-ს ნაწილებია (ზოგჯერ მას „ლიუ ბო“-საც უწოდებენ). ცნობილია, რომ ეს თამაში 1500 წლის წინ, დაახლოებით, ჩვენი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება.



კამათელი და მისი შლილი



აღმოჩნდა, რომ 2200 წლის წინ დაწერილ ლექსში სონგ იუ გვანვდის იდეას, თუ როგორი იყო ეს თამაში. ის ამბობს, რომ ლიუ ბოს ბამბუკის კამათლითა და სპილოს ძვლის ქვებით თამაშობდნენ. მოთამაშეები მორიგეობით აკეთებდნენ სვლებს და თანდათანობით მიიწევდნენ წინ. ისინი მკაცრად ემუქრებოდნენ ერთმანეთს. ქვები მეფედ გადაიქცეოდნენ და ქულები ორმაგდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებმა ბოს წესების გაშიფვრა სცადეს, ეს თამაში ჯერჯერობით ისევ „მკვდარი თამაშების“ რიცხვში შედის.


ბოს გარდა კიდევ არაერთი ძველი თამაშია, რომლის წესებიც არ არის ზუსტად დადგენილი. ამათგან ზოგიერთი 4000 წლის წინანდელია. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი გამქრალია, არქეოლოგები ცდილობენ, რომ წესები აღადგინონ. ქვემოთ რამდენიმე უძველესი თამაშია აღწერილი.

ეგვიპტურ ნახატებზე გვხვდება ძველი თამაში **სენეტი**. მეფე ტუტანჰამონის საფლავშიც კი აღმოჩნდა მისი ერთი ეგზემპლარი. სანამ იპოვიდნენ, ის, დაახლოებით, 3000 წელი იყო მინის ქვეშ ჩამარხული. დღეისთვის არსებობს ამ თამაშის ორი აღდგენილი ვერსია: ერთ-ერთს გაყიდვაშიც შეხვდებით. ინტერნეტშიც ნახავთ ვიდეო ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა ითამაშო სენეტი. თუმცა, არავინ იცის, რამდენად ემთხვევა ისინი სენეტის თამაშის თავდაპირველ ვერსიას და ასეთათამაშობდა თუ არა მას თვით ტუტანჰამონი.

ძველი სამეფო თამაშების რიცხვს მიეკუთვნება **ურიც**. ეს არის 20-უჯრიანი თამაში და მას, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 3000 წელს,

გაგრძელება მე-2 გვ.





ჩვენს წელთაღრიცხვამდე, თამაშობდნენ ეგვიპტეში, შუამდინარეთსა და ინდოეთში. ბრიტანეთის მუზეუმში არის ურის დაფა, რომელზეც ყველა მსურველს შეუძლია თამაშის მოსინჯვა. წესებსაც იქვე აგისსიან, თუმცა, სენეტის არ იყოს, ურის შემთხვევაშიც საკამათოა, არის თუ რა ეს თამაშის ნამდვილი ვერსია.

ატეკეების იმპერიაში დიდებულებიცა და გლეხებიც ერთობოდნენ თამაშით, რომელსაც **პატოლი** ეწოდებოდა. მონაწილეები წერტილებდასმულ ქვებს ან ლობიოს მარცვლებს აგორებდნენ ჯვრის ფორმის დაფაზე. როგორც წესი, ფსონებიც მიიღებოდა. თუმცა, მხოლოდ დაფაზე დაყრდნობით პატოლის გაშიფვრაც ძნელია.




აი, ძველ ჩინურ თამაშს, **გოს** კი ძალიან გაუმართლა. ის შექმნილია, დაახლოებით, ჩვ. წ. აღ.-მდე 2500 წლით ადრე და დღემდე მოაღწია. ცნობილი მოაზროვნე კონფუციც კი წერდა მის შესახებ. დღეს არსებობს ამერიკის გოს ასოციაცია. მას აქვს პერიოდული გამოცემა, რომელსაც ათასობით გამომწერი ჰყავს, იმართება ასპარეზობები. ასე, რომ შენც შეგიძლია ისწავლო ეს უძველესი თამაში და მონაწილეობა მიიღო შეჯიბრებებში. გოს თამაშის ვიდეოინსტრუქციებსაც ადვილად ნახავ ინტერნეტში.


ასეთივე ილბლიანია ძველეგვიპტური თამაში **მანკალა**. ის დღესაც პოპულარულია აფრიკის ზოგიერთ ქვეყანასა და ამერიკაში. ვარაუდობენ, რომ ძველი ეგვიპტელები მის გამარტივებულ ვერსიას თამაშობდნენ ჩვ. წ. აღ.-მდე 100 წლით ადრე. შესაძლოა, ისინი ქვის ან სპილოს ძვლის ზედაპირს იყენებდნენ. დღეს ხის დაფა გამოიყენება.



ერთი უძველესი თამაში საქართველოში, კერძოდ, თუშეთშიც შემორჩა. ჯრაქვაობის სათამაშო დაფას მუზეუმშიც შეხვდები, თუმცა მას დღესაც თამაშობენ. ჯრაქვაობას ორი ადამიანი თამაშობდა. სათამაშო დაფას ადვილად ამზადებდნენ: ბრტყელ, სიბ ქვაზე ასევე ქვით ან სხვა მახვილწვერა საგნით ხაზავდნენ სპეციალურ სქემას. მოთამაშეებს თანაბარი რაოდენობის კენჭები ჰქონდათ. მოთამაშეების კენჭები ფერით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თეთრი ან ღია ფერის კენჭების მფლობელი იწყებდა თამაშს. მოთამაშეებს თითო სვლაზე მხოლოდ ერთი მონაკვეთით შეეძლოთ გადაადგილება. უკუსვლა არ შეიძლებოდა. თუ ერთ-ერთი მოთამაშე ველარ აკეთებდა სვლას, მის ნაცვლად მონინა აღმდეგე თამაშობდა. მოგებული იყო ის მოთამაშე, ვინც პირველი განალაგებდა მონინააღმდეგის პოზიციაზე თავის კენჭებს.



თამაშის შედარებით რთული ვარიანტი. თამაშის მსვლელობის ამსახველი სქემები:



სახალისო დავალება

დაამზადე დაფა ჯრაქვაობის სათამაშოდ და კლასში მოაწვეე შიდა ჩემპიონატი. გამარჯვებულისთვის დაანესე სახალისო პრიზი და სერტიფიკატი.




ქალაქის ზომები

როცა რაიმეს პრინტერით ამობეჭდვა ან სტამბაში დაბეჭდვა საჭირო, ერთ-ერთი, რასაც წინასწარ განსაზღვრავენ ხოლმე, არის **ქალაქის ზომა**. შეიძლება შენც შეგიმჩნევია ქალაქის შეკვრაზე ნიშანი **A4**. ეს სიმბოლო ქალაქის ზომას აღნიშნავს. A4 ყველაზე გავრცელებული სტანდარტული ზომაა. ამ ზომის ფურცლის სიგანეა 210 მმ, ხოლო სიგრძე – 297 მმ.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ქალაქის ჩვეულებრივ ზომად მიღებულია ე. წ. letter, რომლის სიგანეა 8,5 ინჩი, ხოლო სიგრძე 11 ინჩი. ზომით ის თითქმის A4-ის ტოლია, მაგრამ ოდნავ უფრო განიერი და ოდნავ უფრო გრძელია. 1 ინჩი = 2.54 სმ.

არსებობს სხვა სტანდარტული ზომებიც. მათ შორის ყველაზე დიდია A0, რომლის ფართობი ერთი კვადრატული მეტრია. ამის შემდეგ მოდის A1 ზომის ქალაქი. ის A0 ქალაქის შუაზე გადაკეცვით მიიღება ანუ ზომით A0-ის ნახევარია. გამომცემლობებსა და სტამბებში კიდევ ბევრი სტანდარტული ზომის ქალაქი იცნობენ. მათ დიდი პოსტერების, სხვადასხვა ზომის წიგნების, სარეკლამო ბროშურების, კალენდრებისა და სხვა ნივთების დასამზადებლად იყენებენ.

პრინტერების უმრავლესობა ისეა აწყობილი, რომ A4 ან ამერიკული letter-ის ზომის ქალაქს ბეჭდავს. თუმცა შეუძლია უფრო მცირე ზომის ქალაქის ამობეჭდვაც. უფრო დიდი ზომის ქა-



ლალის ამოსაბეჭდად კი უკვე სპეციალურ პრინტერს ან სტამბას მიმართავენ ხოლმე.

ქალაქის ზომების დასადგენად მათემატიკურ ფორმულასაც იყენებენ. როგორც ვთქვით, A0 ყველაზე დიდი ზომის ქალაქია ამ სისტემაში. A1 ზუსტად A0-ის ნახევარია, $A2=A1:2$, $A3=A2:2$ და ა.შ.

ქალაქის ზომები

ფორმატი	ზომები მილიმეტრებში
A0	841 × 1189
A1	594 × 841
A2	420 × 594
A3	297 × 420
A4	210 × 297
A5	148 × 210
A6	105 × 148
A7	74 × 105
A8	52 × 74

სიგრძის საზომი ერთეულები	მათი შესატყვისები სმ-ებში
1 ინჩი (დიუმი)	2,54 სმ
1 ფუტი	30,48 სმ
1 იარდი	91,44 სმ
1 მილი	1609,36 მ

ამოცანა

ქალაქის მოედნიდან მთის მწვერვალისკენ ორი სხვადასხვა ბილიკით ერთდროულად ორი მოგზაური გაემგზავრა. პირველმა მოგზაურმა ნახევარ საათში 1000 ფუტი მანძილი გაიარა. მეორემ ამავე დროში – 450 იარდი. ვინ უფრო ადრე მი-აღწევს მთის მწვერვალამდე და რა დროში, თუ ამავე სიჩქარით ივლიან? ქალაქის მოედნიდან მთის მწვერვალამდე მანძილი 1 მილია.



ძალიან დიდი ხნის წინ ირლანდიაში ორი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობდა: მუქთმიანები და ოქროსფერთმიანები. მუქთმიანებს ჰქონდათ გრძელი მუქი თმა და თაფლისფერი თვალები. ბრძოლის დროს ისინი ბრინჯაოსაგან დამზადებულ გრძელ, წვრილ შუბებს ატარებდნენ. ოქროსფერთმიანებს კი მოკლე და მძიმე შუბები ჰქონდათ. ოქროსფერთმიანები და მუქთმიანები დიდი ხნის მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, თუმცა ზოგჯერ ერთმანეთს თავსაც ესხმოდნენ.

ოქროსფერთმიან ხალხს ჰყავდა ძლევამოსილი ბელადი, უზენაესი ქურუმი, ღმერთი-გოლიათი დაგდა. ის ითვლებოდა ყოვლისმცოდნე ჯადოქრად და უძლიერეს მეომრად. დაგდა მფარველობდა მოსავალს და საკუთარი სურვილის მიხედვით მართავდა ბუნებრივ მოვლენებს: ჭექა-ქუხილს, ელვას, სეტყვას, წვიმას... მუდამ ატარებდა რვაკბილიან კომბალს, რომლის აწევაც მხოლოდ რვა ზრდასრულ მამაკაცს შეეძლო. ამიტომ კომბალი უზარმაზარი ბოროტებიანი ურიკით დაჰქონდა. ურიკა იმდენად მძიმე იყო, რომ მიწაზე ღრმა კვალს ტოვებდა. ამ გოლიათს იმდენი საჭმელი სჭირდებოდა დასანაყრებლად, რამდენიც – ორმოცდაათ კაცს, ამიტომ უზარმაზარი ქვაბი ჰქონდა, რომელშიც საკვები არასოდეს თავდებოდა. დაგდა ყველა მსურველს უმასპინძლებოდა. რაც მთავარია, ამ ქვაბში ყველას თავისი საყვარელი კერძი ხვდებოდა. ამიტომ დაგდა სიუხვის ღმერთიც იყო.

დაგდას ჰქონდა ერთი ჯადოსნური არფა: ლამაზი, ვეებერთელა, იშვიათი ხისგან დამზადებული, ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკული. როცა დაგდა არფაზე უკრავდა, წელიწადის დროები დადგენილი მიმდევრობით ენაცვლებოდა ერთმანეთს.

ზოგჯერ ოქროსფერთმიანი კაცები უცხოტომელებთან საბრძოლველად მიდიოდნენ. დაგდა აიღებდა თავის ჯადოსნურ არფას, ჩამოჰკრავდა ხელს სიმებს და გაისმოდა საბრძოლო მუსიკა. მის გაგონებაზე ყველა მეომარი ხელს იკრავდა თავის იარაღზე, მუხლს გაიმაგრებდა და დაიყვირებდა:

– წინ, ბრძოლისაკენ!..

შემდეგ, როცა დაღლილი და დაჭრილი მეომრები ბრძოლის ველიდან შინ ბრუნდებოდნენ, დაგდა კვლავ იღებდა არფას და დაკვრას იწყებდა. როგორც კი ჰაერში ჯადოსნური მუსიკა შემოიპარებოდა, მეომრებს ავინყდებოდათ დაღლილობა და ჭრილობებით გამოწვეული ტკივილი. ყველა ფიქრობდა ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებაზე, იმ მეგობართა გმირობაზე, რომლებიც მათ გვერდით დაიღუპნენ, ოჯახისა და ახლობლების უსაფრთხოებაზე...

ერთხელაც მუქთმიანი და ოქროსფერთმიანი კაცები შეებრძოლნენ ერთმანეთს.

დაგდას არფა

(ირლანდიური მითი)



შუა ბრძოლის დროს დაგდას დარბაზი ცოტა ხნით უყურადღებოდ დარჩა. მუქთმიანების მეთაურებმა დრო იხელთეს, ჯადოსნური არფა კედლიდან ჩამოხსნეს და გაიქცნენ. მათთან ერთად წავიდნენ მათი ცოლები, შვილები და რამდენიმე მეზობელი. ისინი სწრაფად მიდიოდნენ და უფრო და უფრო შორდებოდნენ დაგდას სასახლეს. შუალამემდე იარეს. მერე იფიქრეს, რომ არავითარი საფრთხე აღარ ემუქრებოდათ. გადაუხვიეს გზისპირას მდებარე ციხე-დარბაზისკენ და იქ დასხდნენ სანადიმოდ. მოპარული არფა იქვე კედელზე ჩამოკიდეს.

დაგდამ გაიგო არფას მოპარვის ამბავი. წაიყვანა რამდენიმე მეზობელი და უკან გამოეკიდა გაქცეულებს. მალე დაენია კიდეც. შუა ნადიმის დროს კარი მოულოდნელად გაიღო

და დაგდა თავის მეზობლებთან ერთად წარსდგა მუქთმიანების წინაშე. რამდენიმე მუქთმიანი მაშინვე წამოხტა, მაგრამ ვიდრე ისინი იარაღს სტაცებდნენ ხელს, დაგდამ თავის არფას გასძახა:

– მოდი ჩემთან, ჩემო არფა!

არფამ იცნო თავისი პატრონის ხმა, გადმოხტა კედლიდან და მასთან გაჩნდა. დაგდამ აიღო არფა და სიმებს ხელი ჩამოჰკრა. დარბაზში უცხო მელოდია გაისმა. ეს იყო ცრემლების მუსიკა. მის გაგონებაზე მუქთმიანმა ქალებმა თავები დახარეს და მწარედ აქვითინდნენ. კაცებმა სახეები გვერდზე მიაბრუნეს, პატარა ბავშვებმა კი გულამოსკვნილი ტირილი დაიწყეს.

დაგდა კვლავ შეეხო სიმებს. ამჯერად მხიარული მელოდია გაისმა. როცა მუქთმიანმა ახალგაზრდა მეზობლებმა ეს მუსიკა გაიგონეს, სიცილი დაიწყეს. ისინი მანამ იცინოდნენ, სანამ ხელიდან არ გაუვარდათ ფიალები, შუბები... იცინოდნენ, სანამ სულ არ დასუსტდნენ ამდენი სიცილით.

კიდეც ერთხელ შეახო ხელი დაგდამ თავის არფას, მაგრამ ამჯერად ძალიან ფრთხილად. დარბაზში გაისმა ჯადოსნური მუსიკა, ნაზი, როგორც სიზმარი და ტკბილი, როგორც ნეტარება. ეს იყო ძილის მუსიკა. მის გაგონებაზე მუქთმიანმა ქალებმა თავები დახარეს და ჩათვლინეს. პატარები მიცოცდნენ დედეების კალთებთან და იქ ჩაიძინეს. მოხუცებსაც ძილი მოერიათ. ახალგაზრდა მეზობლებიც ჩაეშვნენ თავიანთ ადგილებზე და თვალები დახუჭეს. მალე ყველა მუქთმიანს ღრმა ძილით ეძინა.

დაგდამ აიღო ჯადოსნური არფა და თავის მეზობლებთან ერთად ჩუმად გამოვიდა დარბაზიდან. ისინი უსაფრთხოდ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.



ამ ფურცლით შეგიძლია წიგნი გააკეთო, თანაც ძალიან სწრაფად. ამისათვის ფურცელი გაზეთიდან უნდა ამოხიო და წყვეტილ ხაზზე შუაზე გაკეცო.

გამო ზოგჯერ ძველ ხელნაწერებზე ტექსტს გადაფხეკდნენ და მეორად „ფურცლებს“ ახალი წიგნის დასამზადებლად იყენებდნენ. ასეთ მეორად ეტრატზე გაკეთებულ ჩანაწერებს **პალიმფესტები** ეწოდება.

ქალაქი

და აი, ერთხელ შორეული აღმოსავლეთის ქმეცებიდან მოგზაურებმა და ვაჭრებმა ევროპაში საოცარი, თხელი ფურცლები ჩამოიტანეს. ეს იყო ქალაქი.

ქალაქი პირველად ჩინეთში შეიქმნა. მისი დამზადება **ცაი ლუნის** სახელს უკავშირდება. ის 50 წელს დაიბადა ჩინეთის ქალაქ ლუნში. 105 წელს კი ლუნმა იმპერატორ **ხე დის** წარუდგინა მოხსენება ქალაქის დამზადების ტექნოლოგიის დახვეწის შესახებ. იმპერატორს მისი გამოგონება ძალიან მოეწონა და დიდძალი ქონება უბოძა.

მანამდე ქალაქს კანაფისგან ამზადებდნენ. ლუნმა კი ახალი მეთოდი გამოიგონა. ის თუთის ხის ბოჭკოს², ხის ნაცარს, კანაფსა და ქსოვილს აქუცმაცებდა, ერთმანეთში ურევდა და წყალში ხსნიდა. სიმგვრისთვის წებოსა და სახამებელსაც ამატებდა. შემდეგ მიღებულ მასას ათავსებდა სპეციალურ საცერზე და ამრიბდა. როცა გამშრებოდა, ზედმეტ ნაწილებს აკლიდა და ჩაქუჩით კარგად აბრტყელებდა. საბოლოოდ, კარგი ხარისხის ფურცელი გამოდიოდა.

რატომ უნდა გავუფრთხილო ქალაქს?

დღეს ქალაქს ქარხნებში ამზადებენ. მსოფლიოში, ყოველწლიურად, 268 მილიონ ტონაზე მეტი ქალაქი მზადდება.

თავდაპირველად, ტყეში ჭრან ხეებს. შემდეგ მოჭრილი ხის მორები მთქვით მდინარისაკენ, იქ ტივებდა კრავენ და მდინარეზე აკურებენ. ტივები ქარხნისაკენ მიკურავს, სადაც საჭრელი მანქანები ქერქს აცლის და პატარ-პატარა ნაფოტებად ჭრის მათ. მიღებული ნაფოტები-საგან სპეციალურ ხსნარში ე. წ. „ხის ფაფას“ ხარშავენ. სპეციალური მანქანები ნახევრად მზა ქალაქს ზედმეტი წყლისაგან ათავისუფლებენ, აუთოებენ, ამრიბენ და ქალაქი მზად არის. შემდეგ მისგან მზადდება წიგნები, რეგულბი, გაზეთები, ბილეთები, ხელსახოცები და სხვ.

ჩვენ, ყველას გვაქვს საყვარელი წიგნი, ყურნალი ან ალბომი. იცოდა, რომ სულ რაღაც ორი-სამი წიგნის დასამზადებლად, მინიმუმ, ერთი ხის მოჭრაა საჭირო?! სწორედ ამიტომ, ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ ფურცელს. იფიქრე, შენ რისი გაკეთება შეგიძლია სამისოდ.

² **ბოჭკო** – მცენარეული ან ცხოველური ორგანიზმის ძაფისებრი შემადგენელი ნაწილი.

ქვეყნის და სხვის სახელი საძეგლები



კითხვის დრო



ვიდრე ტექსტს წაკითხავ, ორი წუთით დაფიქრდი და უპასუხე შეკითხვებს:

- რამდენად ხშირად წერ?
- რას წერ?
- რატომ წერ?
- რისთვის ან ვისთვის წერ?
- რითი წერ? (კალამი, ფანქარი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი...)
- შენი აზრით, რა მოხდება, არაფერი რომ არ დაწერო საერთოდ?

შესავალი

უძველეს დროს, როდესაც ადამიანებმა წერა-კითხვა ჯერ არ იცოდნენ, მთელ ცოდნას ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას. მოგვიანებით, დაგროვილი გამოცდილების ჩაწერა გახდა საჭირო. ამისათვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სისტემა შექმნეს: პიქტოგრამები („წერა“ ნახატებით), იეროგლიფები, ანბანი. მოკლედ, საკუთარი ცოდნის ჩაწერა დაიწყო. ამის შემდეგ წერდნენ ყველაფერზე, რაც ხელში მოხვდებოდათ – კედლებზე, ქვაზე, მარმარილოს, ხისა და თიხის დაფებზე, ხის ქერქზე, ცხოველის ტყვებზე, სპილოს ძვალზე, ნიჟარებზე, აბრეშუმის ქსოვილებზე, ოქროს, ვერცხლის, ტყვიის ფირფიტებზე...

წერდნენ სხვადასხვა მასალაზე.

წერდნენ სხვადასხვა ტექნიკით.

წერდნენ სხვადასხვა სისტემით... თუმცა, ყველა ნაწერისთვის ერთი რამ იყო უმთავრესი – მას რალაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა შეენახა და გადაეცა სხვებისთვის.

ქვაზე წერა

ერთ-ერთი უძველესი საწერი მასალა ქვა იყო. ქვაზე ასოების ამოკვეთა დიდ შრომას მოითხოვდა. ამის გამო მასზე მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვან ამბებს იწერდნენ. ასეთი შეიძლება ყოფილიყო ცნობები ომების შესახებ, მეფეების, ცნობილი ადამიანების საგმირო საქმეები ან გარდაცვალებები...

მსგავსი ნაწერები ჩვეინა-ნაც შემორჩა. მათგან ერთ-ერთი უძველესია **არმაზის ბილინგვა** (ლათ. bi – „ორი“, lingua – „ენა“). ეს არის ქვის ფილაზე ბერძნული და არამეული ასოებით შესრულებული ეპიტაფია¹.

არმაზის ბილინგვა


დამწერლობა: ბერძნული და არამეული

შექმნის თარიღი: ახ. წ. აღ-ით. 150 წელი

აღმოჩენის თარიღი: 25 ნოემბერი, 1940 წ.

აღმოჩენის ადგილი: არმაზისხევი, მცხეთა

ახლანდელი მდებარეობა: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი



¹ **ეპიტაფია** – საფლავის ქვის წარწერა

ქვაზე ამოკვეთილი ტექსტი 21 წლის ულამაზესი ქალის, სერაფიტის, მოულოდნელ გარდაცვალებას გვამცნობს. სერაფიტი ქართლის მეფე ფარსმან II-ს ძლიერად სარდლის მეუღლე ყოფილა.

პაპირუსი

ძველ ეგვიპტეში მცენარისგან დამზადებული მასალაზე, **პაპირუსზე** წერდნენ. პაპირუსი ჭაობის მცენარეა. იგი უხვად იზრდებოდა მდინარე ნილოსის ნაპირებზე. ეგვიპტელები მისი ღეროებისა და ფოთლებისგან ამზადებდნენ ნავებს, კალათებს, თოკებს, ჭურჭელს, ავეჯს, სამოსს, ფეხსაცმელს, ჭილოფებს...

ყველაზე მეტად იგი საწერი მასალის დასამზადებლად გამოიყენებოდა. სამისოდ მცენარის ღეროებს თხელ ფენებად ჭრიდნენ, დაფაზე აწყობდნენ და წებოს უსვამდნენ. შემდეგ ზემოდან მეორე, ზოგჯერ მესამე ფენასაც ადებდნენ. აშრობდნენ. გვერდებს ჩამოაჭრიდნენ და ნიჟარით ან სპილოს ძვლით დიდხანს აპირალებდნენ. ასე მიიღებოდა მოყვითალო ფერის პაპირუსის „ფურცელი“. „ფურცლებს“ ერთმანეთზე აწებებდნენ გრძელ გრაგნილებად. პაპირუსის დამზადება მხოლოდ ეგვიპტეში შეეძლოთ, თუმცა შემდეგ ვაჭრებს მზა მასალა სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ.

პაპირუსზე წერა ქვასთან შედარებით ძალიან ადვილი იყო, მაგრამ მას რამდენიმე ნაკლი ჰქონდა:

- მკვეთრად გადაკეცვისას ტყდებოდა
- მხოლოდ „ფურცლის“ ცალ მხარეს შეიძლებოდა წერა
- პაპირუსის ნივნებს გრაგნილად ახვევდნენ, რომ არ დაზიანებულიყო ზოგიერთი ასეთი გრაგნილი-ნივნი 30 მეტრს აღწევდა და მოუხერხებელი იყო წასაკითხად.

პერგამენი

ბერძენების მიერ დაარსებულ ქალაქ პერგამონში ცხოველის სპეციალურად დამუშავებულ ტყავზე წერდნენ. ამ საწერ ტყავს **პერგამენი** ერქვა. მას ქართულად ეტრატსაც ეძახდნენ. პერგამენის დასამზადებლად იყენებდნენ თხის, ცხვრის, ხბოს, იშვიათად ანტილოპას ტყავს. განსაკუთრებით, ძვირად ფასობდა ახალდაბადებული ბატკნისა და ციკნის ტყავი.

პერგამენი საწერად საკმაოდ მოსახერხებელი იყო. ის პაპირუსზე უფრო გამძლეა, დრეკადი, არ ტყდება და მასზე ორივე მხრიდან შეიძლება წერა, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდებოდა. ერთი ნივნის დამზადებას ათეული-ათი ხბოს ან ბატკნის ტყავი სჭირდებოდა. ზოგიერთი ხელნაწერის ფასად საცხოვრებელ სახლს შეიძენდი. ამის



1060 წელს ეტრატზე შესრულებული ქართული ხელნაწერი ნივნი






თავსატეხი №1. სუდოკუ

სუდოკუ ძველი იაპონური თამაშია. ამ თამაშის მთავარი პრინციპი ასეთია: ცხრილის უჯრებში ისე უნდა ჩაწერო ციფრები, რომ არც ვერტიკალურ და არც ჰორიზონტალურ ხაზში ერთი და იგივე ციფრი არ გამეორდეს. ცხრილი სხვადასხვა სირთულის შეიძლება იყოს. მოდი, ამჯერად მარტივით დავიწყოთ.

1		5		
	1			2
		3		
	4		3	
2				


თავსატეხი №2.

ასანთის ექვსი ღერი დადე ისე, რომ ერთ-დროულად გამოვიდეს ექვსი სამკუთხედი და ერთი ექვსკუთხედი. ღერების დალაგება დაიწყე ნიმუშის მიხედვით.



თავსატეხი №3.


ასანთის ღერებით აწყობილია 6 პატარა კვადრატები. შეგიძლია, მხოლოდ ორი ღერი აიღო ისე, რომ დაგრჩეს 4 კვადრატები?



ამოსანა №1

მთელი დღეა ვკინძავთ
ძველ, დაფურცლულ წიგნებს.
რამდენილა დაგვრჩა,
დაითვალო იქნებ.
მე ავკინძე ოცი,
თეამ – ორით მეტი;
ზუსტად ჩემოდენი
გააახლა ქეთიმ.
თავიდან კი იყო
ას ორმოცდაერთი.

(შოთა ამირანაშვილი)



ბოგორ დაეპყროთ ორიგინალური კონვერტი სახუქრის შესაფუთად

საჭირო მასალა და ხელსაწყოები:

- ❖ A4-ის ზომის მყარი ფერადი ან ქრელი ქაღალდის ფურცელი – 4 ცალი
- ❖ აბრეშუმის ფერადი ლენტი – 80 სმ.;
- ❖ ნებო ემულსია (ან სკოტჩი) – 1 ცალი;
- ❖ მაკრატელი;
- ❖ ფარგალი.




მოზადების პროცესი:

პირველი საფეხური

აიღე ფერადი ფურცელი და ზედ ფარგლით შემოხაზე ერთი დიდი წრე, რის საშუალებასაც ფურცლის ზომა მოგცემს. ასე გაიმეორე ოთხივე ფურცელზე. შემდეგ ეს წრეები გამოჭერი მაკრატლით.


დაიმახსოვრე: ფურცელი საკმარისად მყარი უნდა იყოს, კონვერტმა ფორმა რომ შეინარჩუნოს. და კიდევ, თუ ქრელ ფურცელს ვერ მონახავ, არ იდარდო. შენ თვითონ შეგიძლია გააფორმო ის საკუთარი გემოვნებით.



მეორე საფეხური

წრეები გაკეცე შუაზე იმგვარად, რომ გადაკეცვის ადგილას მიიღო მართი კუთხე. შემდეგ გადაკეცილი წრეები ერთმანეთზე მონაცვლეობით ისე დაალაგე, როგორც ეს ფოტოზეა ნაჩვენები და დაამაგრე ნებოთი. თუ სურვილი გაქვს, ნებოს ნაცვლად შეგიძლია გამოიყენო „სკოტჩი“.

დაიმახსოვრე: წრეების ერთმანეთზე დალაგების დროს ყოველთვის ფურცლების ერთი და იგივე მხარე უნდა მოხედეს ზემოდან. თუ დაკვირვებებიარ, კუბის ფორმის მუყაოს ყუთებიც ხშირად სწორედ ამ პრინციპით არის დამზადებული.



მესამე საფეხური

კონვერტის ფსკერი დაამაგრე? ესე იგი, შენი შესაფუთი თითქმის მზადაა. ახლა შეგიძლია მასში ჩადო მისალოცი ბარათი ან საჩუქარი. შემდეგ წრეების დარჩენილი თავისუფალი ნაწილებიც იმავე პრინციპით უნდა გადაკეცო ერთმანეთზე, როგორც ეს ფსკერის დამზადების დროს გააკეთე. სულ ბოლოს კონვერტს გარედან შემოაკარი ლენტი და ბაფთაც დაუმაგრე.

შენი კონვერტი მზადაა და საჩუქარიც შეფუთულია. ახლა დროა ვინმე გაახარო!



კითხვის-დრო

